პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 279 (13971) | ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

ჩვენს კვეყანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. მოსკოველთა ამ დიდ კაბრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს მშრომელებმა და ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ უოველ დღეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოში

ჯილდო მეცხოველეებს

1967 წლის მესამე კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა ბორჯომის რაიონს.

ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულეს 235 პროცენტით, რძისა — 133 პროცენტით, კვერცხისა — 217 პროცენტით, მატყლისა — 258 პროცენტით. პირუტყვის სულადობა 1 ოქტომბრისათვის ამავე წლის 1 იანვართან შედარებით შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 105,4 პროცენტს, აქედან ძროხისა — 105,3 პროცენტს, ღორისა — 126,1 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 117,6 პროცენტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება კარგად იყო ორგანიზებული თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის, წითელწყაროს, ცაგერის, ქობულეთის, ჯავის, გაგრის, ლენტეხის, მესტიის რაიონებში. (საქდესი).

მექანიზატორთა შემოქმედებითი შრომა

მიდიხართ სოფლად და თვალს იტაცებს თვალუწვდენი მინდვრები, ათვალიერებთ უზარმაზარ ფართობებზე გადაჭიმულ პურის ჯეჯილებს, ვენახებს, ჩაის პლანტაციებს, ხეხილისა და ციტრუსების ბაღებს, და უნებლიეთ ამბობთ, რა ძალა, რა ხელი ამშშავებს ამდენ მიწას.

საქმეც სწორედ ეს არის. ადამიანმა რა სახის იარაღ-მანქანები არ შექმნა იმისათვის, რომ ბუნებისგან, მიწისაგან მიეღო იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია. ამა გადახედეთ მარტო საქართველოს სს რესპუბლიკის მინდვრებს. ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები იმდენია, რომ დათვლაც გაგიჭირდებათ. მექანიზატორები თავიანთი საქმის ოსტატები არიან და სასწაულს ახდენენ, უხვად ქმნიან პროდუქტებს ხალხისათვის. მექანიზატორები სოფლის მეურნეობის წინა ხაზზე იმყოფებიან.

რა ამაყად გაისმის შესანიშნავი სიტყვა მექანიზატორი! იგი ხომ სამამულო ტექნიკის სული და გულია. ორი მექანიზატორი, ორი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — სერგო აფხაზავა და თეიმურაზ იაკობიშვილი სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ და ერთმანეთს შეიძლება არც იცნობენ, მაგრამ როგორ ჰგავს ერთმანეთს მათი ბედი! ისინი ათეული წლია, რაც მართავენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. სერგო აფხაზავა საუკეთესოდ დაეუფლა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მართვას და ერთი მანქანით უოველ წელს 110-120 ტონა ჩაის ნედლეულს იღებს. მან ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 5.200 კილოგრამი ფოთოლი აიღო და 260 მეჩაიის მოვალეობა შეასრულა. წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში უველა აქებს თეიმურაზ იაკობიშვილის მარჯვენას. იგი პურეულის მოსავლის ადების დროს თვითმავალი კომბაინით დღეში მკიდა 18-20 ჰექტარს ნაცვლად 8 ჰექტარისა. მათი მანქანები ისეა ძოვლილი, რომ წლების განმავლობაში არ ესაჭიროებათ კაპიტალური რემონტი.

ჩვენი რესპუბლიკის რომელი მიწათმოქმედი არ იცნობს სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მექანიზატორს ივანე ბალდაშვილს. მისი შრომითი ბიოგრაფია ნოვატორობით, შესანიშნავი წარმატებებით არის ცნობილი. მას უოველწლიურად ხელის შრომის გამოუყენებლად მარცვლეულის უხვი მოსავალი მოჰყავს.

სახელოვანი მექანიზატორი ბევრია გორის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, ყვარლის, ლაგოდეხის, ახმეტის, აბაშის, გარდაბნის, ბოლნისის, ცხადიას, ზუგდიდის, მცხეთის, ხობის, ქარელის, ხაშურის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონებში. ისინი შრომითი მამაცობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ. დიადია გარდაქმნები, რაც მოხდა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი საიუბილეო წელს.

მაგრამ მიღწეული იმას როდი ნიშნავს, რომ ახლა შეგვიძლია გულხელდაკრეფილნი ვიყოთ. ახლა, როცა კომუნისტურმა პარტიამ აიღო სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, წარმოების უველა დარგში მანქანების კომპლექსის ფართოდ დანერგვის კურსი, მექანიზატორის შრომა ჭეშმარიტად გადამწყვეტი ხდება დასახული ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სკკპ XXIII ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა შრომელებს. ეს ამოცანები რომ შესრულდეს, ამისათვის საჭიროა კიდევ ბევრი გავკეთოთ. საიუბილეო საოქტომბრო შეჯიბრების მსვლელობაში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968-1970 წლების გეგმებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა პასუხად მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა სამრეწველო ცენტრებში მოწინავე კოლექტივებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი: ვადამდე, 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ხუთწლიანი გეგმის ადრე ვადებში. მოწინავე კოლექტივების ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში.

სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზატორების მოვალეობაა მხარი დაუჭირონ ყოველ ახალ წამოწყებას, უველაფერი გაკეთონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუწყვეტელი ზრდისათვის.

ზმოიის დღეებია. მექანიზატორებს დიდი საზრუნავი გაუჩნდათ. ისინი ხუთწლედის მესამე წლის გაჯაფუსლისათვის ემზადებიან. ჭანსაო ტექნიკა გაჯაფუსულს! — ამ დევიზით შრომობენ მექანიზატორები, კეთილმოწყობილ სარემონტო სახელოსნოებში მთელი დღეარ წყდება დაზგა-დანადგარების ხმაური. სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების უველა ნაწილს საგულდაგულოდ სინჯავენ, უვარგისს ცვლიან, შესაკეთებელს რემონტს უკეთებენ. გაჯაზადებულ მანქანებს გამოსაცდელ ნაკვეთზე ამუშავებენ. თუ წუნი აღმოაჩნდა, მიზეზს არკვევენ, კვლავ სახელოსნოში აბრუნებენ. კარგად შეკეთებული ტრაქტორი საგაზაფხულო კულტურების დასათესად მზრალად ხნავენ მიწას, ბაღ-ვენახებში, ხეხილის ბაღებში მწკრივთა შორის ნიადაგს ამუშავებენ.

ახლა, როცა ტექნიკა ძირითადად მინდვრებიდან სახელოსნოებში დაბრუნდა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა იმისათვის უნდა იზრუნონ, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის სამუშაოებზე მექანიზატორთა შეჯიბრება ფართოდ გაშალონ, უველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მექანიზატორებს შუქმნან სათანადო პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

მანქანების წარმადობა დიდი რომ იყოს, ჩინებულად რომ მუშაობდნენ უხვი მოსავლის შესაქმნელად, უველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა გვუაჯდეს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული. იქნებიან ტექნიკის გამოუყენების მოწინავე ხერხებს, იქნებიან თავიანთი საქმის ოსტატები. ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში ფართო გაქანება მიეცა მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა ტექნიკურ სწავლებას. მანქანების ტარება ისწავლა ბევრმა ადამიანმა. მათ უნდა დაეხმაროთ უფრო მალე გახდნენ თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები, ვიზრუნთო იმ ადამიანთა მატერიალური და მორალური წახალისებისათვის.

სოფლის მექანიზატორი მხოლოდ მანქანის მძღოლი როდია. ტექნიკის შესანიშნავ ცოდნასთან ერთად იგი მოვალეა ზედმიწევნით ფლობდეს აგრონომიულ ხერხებს, შეეძლოს თავისი მუშაობის ეკონომიური შედეგების ანალიზი.

მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის ფართოდ განვითარების გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ამ დიდ საქმეში სოფლის მექანიზატორებს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით.

სოფლის მექანიზატორები უოველთვის იყვნენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, საკოლმეურნეო წყობილების აუკვეთისა და განმტკიცების ბრძოლის წინა ხაზზე. დღე შრომითი მამაცობისა და ენთუზიაზმის ეს სახელოვანი ტრადიციები გამრავლდეს მექანიზატორის ახალი პატრიოტული საქმეებით!

ზრომითი ნოგათეგი

დამთავრდა სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა სოხუმსა და თბილისში. საქართველოს მუშაკენი მრეწველობის ეს ახალი საწარმოები უკვე წლეს გამოუშვებენ პირველ პროდუქციას.

მთავრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამშენაოები მცხეთის ტრაქტორების ფაბრიკაში, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 1.400 ათას ცალ ტრაქტორის ნაწარმს. ამ საწარმოს პირველი რიგი ექვსივე მწყობრში ჩადგება მომდინარე წლის დასაწყისს.

ალგეთის ღვინის ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 800 ტონის ნაცვლად გადაამუშავა 1.445 ტონა ყურძენი.

ზეგეგმითი გუმგრინი

წყალტუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის დავალება. მაღაროელებმა ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობას 5.000 ტონა ნატეხი და 1.100 ტონა ზეგეგმითი დაფქული გუმბრინი გაუგზავნეს.

მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას 4,5 პროცენტით გადაამეტა და რენტაბელური მუშაობით ზარალის ნაცვლად 12.000 მანეთი წმინდა მოგება მიიღო.

წლიური დავალება უკვე გაანაღდა ღია კარიერების უბნის კოლექტივმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ინჟინერი მ. ხოჭავა უძღვება.

მეტალურგთა ნარმატება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საუბილეო წელს რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელიც ზაპოროჟიელ თანამოსაქმეებს კეთრობენ. აქაურობა მეტალურგებმა დამსახურებულად მიიბოვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს **სა**იუბილეო სამახსოვრო დროშა. ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ზ. ჩხეიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. ბუხნიკაშვილი) ამ დღეებში შოსკოვიდან სასახარულო დეპეშა მიიღო. მესამე კვარტალის მაჩვენებლებით გაიმარჯვა მეტალურგთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა თაოსნობას და ახალი ვალდებულებები იკისრეს:

მიმდინარე წლის დავალების ვადამდე შეასრულებენ და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ ათასობით ტონა შენადნობს, დაზოგავენ 30 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. მეტალურგები ხუთწლიან გეგმას შეასრულებენ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, გამოადნობენ ათეულ ათასობით ტონით მეტ ლიფონს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

ისინი პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ მოსკოველთა მოწოდებას.

ქარხნის კოლექტივმა 25 დღით ადრე შეასრულა თებერვლეტი თვის გეგმა და დეკემბრის ანგარიშში ათასობით ტონა შენადნობი გამოუშვა. შარშანდელთან შედარებით 9 პროცენტით გაზარდა პროდუქციის გამოშვება, თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 200 ათასზე მეტი მანეთი, ზეგეგმითმა დაგროვებამ 170 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო ელექტროენერგია დაზოგილია 24 მილიონი კილოვატ-საათი.

საერთაშორისო ცხოვრება

დანაკლისი იზრდება

ჟენევა. 29 ნოემბერი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საპაერო თავდაცვის ნაწილებმა. გუშინ დილით ჰაიფონში ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ცნობებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 27 ნოემბერს კუანგბინის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკის სამხედრო-საპაერო ძალების თვითმფრინავი, რომელიც ბომბავდა პროვინციის სანაპირო რაიონების დასასლებულ პუნქტებს.

იუწყება რა ამას, ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ 20 ნოემბერს, დამატებითი მონაცემებით, კუანგბინის პროვინციაში ჩამოაგდეს კიდევ ორი ამერიკული თვითმფრინავი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ ამერიკულ თვითმფრინავთა საერთო რიცხვმა 2.607-ს მიაღწია.

კვიპროსში კვლავ დაძაბულობაა

ანკარა. 29 ნოემბერი. (საკდესი). თურქეთის პრესა აღნიშნავს, რომ კვლავ გამწვავდა კვიპროსის კრიზისი, თუმცა გუშინ იმედოვნებდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილი დაძაბულობა.

მაშინ, როცა ყველას მიაჩნდა, რომ ანკარამ და ათენმა თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას, წერს გაზეთი „მილიეთი“, მდგომარეობა შეიცვალა. გუშინ თურქეთის მთავრობამ დაგაწყვეტა არაფერი არ დამთქმოს და მოითხოვოს წინათ წაყენებული პირობების შესრულება. ამის შემდეგ დაიწყო „კვიპროსის კრიზისის ყველაზე მწვავე სტადია“, — წერს გაზეთი „სონ ჰაბერლისი“.

ათენი. 29 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთ-თურქეთის კრიზისი უაღრესად გამწვავდა, იმტკიცებენ საბერძნეთის დედაქალაქის ინფორმირებული წრეები. საღამოს საბერძნეთის მინისტრთა საბჭომ მოაწყო ერთსაათიანი სხდომა, რომელზეც განიხილა თურქეთის უკანასკნელი მოთხოვნები. დაახლოებით შუაღამისას, ნატოს გენერალურ მდივანთან მ. ბრინიოსთან მეორე შეხვედრის შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა პიპინელისმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „მთავრობამ განსაზღვრა თავისი პოზიცია. მდგომარეობა კვლავ საშიშაა“. შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა სამხედრო კონფლიქტი, პიპინელისმა უპასუხა: „არის ასეთი საფრთხე, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდებაო“.

ხელი მოანერეს შეთანხმებას

ფენევა. 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჟენევაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის დელეგაციის ხელმძღვანელებმა და ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა. შეთანხმება ძალაში შედის 30 ნოემბრიდან.

ეს აქტი ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთის ამ ნაწილში ბოლო მოეღო ინგლისის 128 წლის ბატონობას და შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო.

დღეს შუაღამისას გამოაცხადებენ ახალი სახელმწიფოს — სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

დამთავრდა კიფინგერის მოგზაურობა

ბონი. 29 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბონში დაბრუნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კიფინგერი, რომელიც ცხრა დღეს მოგზაურობდა ინდოეთში, ბირმაში, ცეილონსა და პაკისტანში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურებთან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვიზიტის დროს კიფინგერი ცდილობდა გადაერჩინა გაკოტრებული „ჰალშტაინის დოქტრინა“, რომლის საშუალებით ბონს სურს წინააღუდგეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აზიის ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციას.

გარდა ამისა, ბონელი კანცლერი ცდილობდა მოეპოვებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციისადმი მხარდაჭერა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების საკითხში. დასავლეთ გერმანიის მთავრობა ეძებს გზებს, რათა ყოველნაირად გააჭიანუროს ასეთი საერთაშორისო შეთანხმების დადება.

,,ავადმყოფი ქალაქი“

ვაშინგტონი. 29 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინი „ავადმყოფი ქალაქია“, აღნიშნავს ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“. იგი „სულ ო�რო კარგავს თავის ღირებულებას დასავლეთის სამყაროსათვის“, წერს ჟურნალი.

ქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება თითქმის 20 ათასი კაცით. სავაჭრო ფირმები ტოვებენ ქალაქს, სამრეწველო წარმოება ეცემა, შეკვეთების მოცულობა შარშანდელთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა.

„იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ ბერლინი ჯერჯერობით ფარმატებული ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს. „მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია, წარმოშობილი დასავლეთ გერმანიის სუბსიდიებით; ომის შემდეგ აქ დაბანდდეს 9 მილიარდამდე დოლარი: „ავადმყოფი ორგანიზმისათვის დოლარის ამ შეშხეპნებამ, — ჩიკაგოს ჟურნალი, — არ მოიტანა ჯეროვანი პოლიტიკური და პროპაგანდისტული ეფექტი“.

გენერალ უესტმორლენდის განცხადება

ნიუ-იორკი. 29 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების სარდალმა გენერალმა უესტმორლენდმა ჯაშინგტონიდან საიგონში დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ შემდგომში სამხრეთ ვიეტნამის ჯარები „დაიცავენ“ სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ საზღვრებს. აქამდე ეს ამერიკელ ინტერვენტებს ეკალებოდა.

საქმე ეხება იმას, რომ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტულმა არმიამ მონაწილეობა მიიღოს საომარ ოპერაციებში, რომლებიც წარმოებს სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ“ რაიონში — კონთხიენში.

როგორც ვიუწყებოდით, ამ რაიონში სეპტემბრის ბრძოლების შედეგად ამერიკელებს დიდი ზარალი ქქონდათ. სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტები დღემდე პერიოდულად უტევენ და ცეცხლს უშენენ კონთხიენს.

გენერალმა უესტმორლენდმა აღიარა აგრეთვე, რომ დაქტოსთან ბრძოლებში ამერიკის ჯარებს ჭქონდათ ძალიან დიდი ზარალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბრძანებულება

ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

აბაშიძეს დავით ივანეს-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

ბაქრაძეს თამარ ივანეს ასულ — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ყოფილ მსახიობს.

გაბრიჭაძეს რევაზ კონდრატის-ძეს — კომპოზიტორს.

იაშვილს მარინე ლუარსაბის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ინსტრუმენტალისტ-სოლისტს.

კობერიძეს ოთარ ლეონტის-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

კუზნეცოვას ოლგა ალადიმერის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

მალალაშვილს ედიშერ გიორგის-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

მახარაძეს კონსტანტინე ივანეს-ძე — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

საყვარელიძეს ტარიელ **ი**ოანეს-ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

შუშანიას ირაკლი ლავრენტის-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის:

გაბაშვილს იოსებ ილიას-ძეს — მხატვარს.

გრიგოლიას ვლადიმერ დავითის-ძეს — მხატვარს.

თავაძეს დიმიტრი მათეს-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ მხატვარს.

ლაპიაშვილს ფარნაოზ გიორგის-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხატვარს.

მამალაძეს ლეონიდე სარდიონის-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

აბრამიშვილს შალვა ოსების-ძეს — მხატვარს.

ალხაზიშვილს შალვა ილიას-ძეს — ქორნალ „მნათობის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

ანჯაფარიძეს ჯემალ ივანეს-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.

არჩვაძეს შოთა ვასილის-ძეს — საქართველოს ტელევიზიის კინოგადაცემათა რედაქციის უფროს რედაქტორს.

აფაქიძეს შალვა პლატონის-ძეს — საქართველოს სსრ ენციკლოპედიათა კაბინეტის ფოტოსახატვრო წარმოების დირექტორს.

ბარათაშვილს მარიკა (მარიამ) გიორგის ასულს — ყოფილ „საქართველოს ქალის“ რედაქტორს.

გაბუნიას ნოდარ (ანდრია) ალექსანდრეს-ძეს — კომპოზიტორს.

გეგელაშვილს შალვა ნოეს-ძეს — კინოოპერატორს.

გედევანიშვილს შალვა მიხეილის-ძეს — „ქართული ფილმის“ რეჟისორს.

გვერდწითელს რუსუდან გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს თანამშრომელს.

გრიგოლიშვილს გიორგი გრიგოლის-ძეს — საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორის მოადგილეს.

გოგიაშვილს ეკატერინე კონსტანტინეს-ძეს — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის თავმჯდომარეს.

გუგუშვილს ეთვერ ნიკოლოზის ასულს — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროორექტორს, თეატრმცოდნეს.

გუდიაშვილს ნინო იოსების ასულს — მხატვარს.

დავითაძეს შოთა ივანეს-ძეს — ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორს.

ვასაძეს გიორგი აკაკის-ძეს — რეჟისორს.

ზუსეკვას რაისა სოლომონის ასულს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრს.

თაბუკაშვილს რევაზ შალვას-ძეს — საქართველოს კინემატოგრაფისტების კავშირის მდივანს.

თავართქილაძეს იოსელიანი მიხეილის ასულს — ვ. თბილისის რკინიგზის თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს.

თოფურიას მიხეილ ევგენის-ძეს — ხელოვნებათმცოდნეს.

კაბისოვს გრიგოლ არსენის-ძეს — კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის რეჟისორს.

კილაძეს მიხეილ მირთანის-ძეს — აპარის ასსრ სომლერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორს.

კოტიას ნოშრევან ვალერიანეს-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორს.

ლებანიძეს ქრისტესი ივანეს-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარ-დამდგმელს.

მიდატოვს გრიგოლ იაკობის-ძეს — ვ. მოსკოვის გნესინების სახელობის ინსტიტუტის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

(დასასრული მე-8 გვ.)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

განუსრელად გაეკუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, გაეაღიდოთ საიმედოობა და ხანგამძლეობა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სარატოვის ოლქის საწარმოებში შემუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემის დანერგვის სამუშაოთა გაძლიერების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სარატოვისა და სხვა ოლქების სამრეწველო საწარმოებში ამ სისტემის გაზოგადების მრავალი წლის პრაქტიკა დამაჯერებლად ცხადყოფს მის მაღალ ეფექტიანობასა და დიდ მნიშვნელობას ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, სამრეწველო ნაწარმის საიმედოობისა და ხანგამძლეობის გაადიდებისათვის.

ამასთან, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მუშაობა ამ პროგრესული სისტემის გავრცელებლად საკმაოდ აქტიურად არ მიმდინარეობს, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, ცალკეული პარტიული კომიტეტები ამ საქმეში არ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში სუსტად ამბრნეს სამეცნიერო-საკვლევ და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს რეკომენდაცია ეძლევათ გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წლის) პლენუმის მოთხოვნათა შესრულებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ნაწარმის ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდების შესახებ.

წინადადება ეძლევათ ამ მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ სარატოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის, მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ღონისძიებათა იმ სისტემის დანერგვის გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

დარჯობრივ სამინისტროებს დაეგალათ პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელონ სარატოვის ოლქის სამრეწველო საწარმოთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, გაძლიერონ მეცნიერულ-კვლევითი ორგანიზაციების როლი მრეწველობის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდებისათვის მუშაობაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტთა, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოამზადოს და გამოიცეს საჭირო მეთოდური მასალები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სისტემა, რომელიც სარატოვის ოლქის საწარმოებში შეიმუშავეს.

ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტებს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების, პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილება ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდების საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს მასობრივი მეცნიერულ-პოპულარული და საცნობარო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა მოცემულ საკითხებზე.

სტუმრად ქართველ მეცნიერებთან

გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა მიიღო და ესაუბრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲐᲮᲐᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

 Შ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲒᲕᲐᲚ იᲑᲜᲔᲑᲐ საქართველოს პროფკავშირთა XIV ყრილობა. იგი ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ ᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, საᲗᲔᲝᲛᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ. რესპუბლიკის თითოეული საწარმოო კოლექტივი, თითოეული მშრომელი ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲔᲗ შეუდგა მუშაობას საყოველთაო სახალხო დღესასწაულის შემდეგ და ᲪᲓᲔᲠᲚᲝᲑᲡ განამტკიცოს და გაამრავლოს საოქტომბრო შეჯიბრების მიღწევები, პირნათლად შეასრულოს საიუბილეო წლის საგეგმო დავალებანი.

ᲠᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲛ გავიდა წინა ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ შემდეგ. ამ პერიოდში ჩვენს ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, დიდი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები სკკპ XXIII ყრილობისა და ჩვენი პარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ეს გარდაქმნები მიზნად ისახავენ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

კომუნისტური მშენებლობის დიდი და ბასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში ᲧᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ წვლილი შეაქვთ პროფკავშირებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ხᲓᲝᲛᲐᲖᲔ ამხანაგმა ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕმა თქვა:

„მასების ჩაბმას საზოგადოებრივ საქმეთა მართვის სხვადასხვა ფორმაში აქტიურად უწყობენ ხელს პროფკავშირები, რომლებიც 80 მილიონზე მეტ მშრომელს აერთიანებენ. პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები საქმით ავლენენ თავს როგორც მართვის და მეურნეობრიობის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“.

საქართველოს პროფკავშირთა ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲗᲐ წარმოების განვითარებასთან და სრულყოფასთან, შრომის ნაᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ გადიდებასთან, შრომითა და ხელფასის ორგანიზაციის საქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების, საწარმოო-ორგანიზაციების, პროფკავშირული ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი შრომისა და წარმოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, იგი რეგულარულად იხილავდა სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტებს.

შარშანდელ და წლევანდელ გეგმებში გათვალისწინებულია პროფკავშირულ ორგანოთა წინადადებანი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ტემპის გაძლიერების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, წითელი კუთხეებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის გასაფართოებლად რეზერვების გამოᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ შესახებ.

მშრომელთა მასობრივი მონაწილეობის მეოხებით ჩვენი ნამდვილად სახალხო გეგმები რეალურია და თითოეულ მშრომელს მიაჩნია მოქმედების საბრძოლო პროგრამად, საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეში პირადი მონაწილეობის პროგრამად. ამის შედეგად ჩვენში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი, ეს ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე სკკპ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ დირექტივებით იყო გათვალისწინებული. ახლა უკვე მტკიცე რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ᲗᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველი ორი წლის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება.

ᲗᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველი ორი წლის დამახასიათებელი თვისებურება იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი განვითარება. ამის შედეგად მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპი უკვე დაუახლოვდა წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპს.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპი.

რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონე აგრეთვე უფრო სწრაფად მაღლდება, ვიდრე დირექტივებით იყო დასახული.

ჩვენ ვქმნით ახალ საზოგადოებას. ასეთი საზოგადოების წარმატებით აშენება, კომუნისტური იდეალების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ იდეურად მტკიცე ადამიანებს, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი ამოცანები და ნათლად ხედავენ მათი შესრულების გზებს. სწორედ ამ ამოცანებს ექვემდებარება რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც უნარიანად უხამენენ ერომანეთს აღმშენებლობის მუშაობასა და მასების მობილიზაციას სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესასრულებლად.

ამჟამად შეჯიბრებაში მონაწილეობს 902 ათასი კაცი, ანუ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 83 პროცენტი.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეობს 280 ათასამდე მუშაკი — 20 ათასით მეტი, ვიდრე გასული წლის დამდეგს. 105 ათასზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს, 9 ათასამდე ბრიგადას, საამქროს, უბანს, 71 საწარმოს მიენიჭათ კომუნისტური შრომის დამკვრელისა და კოლექტივის წოდება. მათმა დიდმა უმრავლესობამ გასული წლის მუშაობის შედეგების მიხედვით დაადასტურა ამ სპატიო წოდების უფლება.

ახალი შინაარსი მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობის მართვის დარგობრივ პრინციპზე გადასვლის პირობებში, შრომის ეკონომიური და მორალური სტიმულების როლის ამაღლების პირობებში.

ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი ᲠᲣᲚᲘᲐᲓ საკავშირო შეჯიბრების მონაწილე ოცი საწარმოს, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს, მთელ რესპუბლიკას მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები.

საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების 146 კოლექტივი დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშებით. სამახსოვრო დროშები კოლექტივებს გადაეცათ სამუდამოდ, როგორც სიმბოლო მათი შრომითი მამაცობისა.

სამახსოვრო დროშები მიენიჭათ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს.

შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანიც. ხშირად ვალდებულებებს კისრულობენ ეკონომიურად დაუსაბუთებლად და რეზერვების გაუთვალისწინებლად, არ წარმოებს ᲧᲝᲠᲘᲗᲕᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ მუშაობა მათ შესასრულებლად. მთელ რიგ საწარმოებში სუსტია შეჯიბრების საკითხობა. არის შემთხვევები, როცა შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობას გამოდევნებულნი ᲘᲕᲘᲧᲣᲤᲔᲑᲘ მთავარს—შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვას.

შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ შემდგომი ზრდისათვის ბრძოლის გაძლიერება პროფკავშირულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენი რესპუბლიკის პირობებში შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ I პროცენტით ზრდა უდრის რამდენიმე მილიონი მანეთი ღირებულების პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე აღიზარდნენ შესანიშნავი ნოვატორები, რომლებიც შრომის მაღალ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ გვიჩვენებენ. მაგალითად, ენგურის ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡადგურის მშენებლობაზე გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც გ. ნადირაძე მეთაურობს, მიმდინარე წლის აგვისტოში დაამყარა სრულიად საკავშირო რეკორდი, მოკლე ვადაში გაიყვანა 108 მეტრი სიგრძის გვირაბი გეგმით გათვალისწინებული 55 მეტრის ნაცვლად. რუსთავის მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ და ზაქარია კვეკლაშვილმა საიუბილეო წლის გამოუშვეს ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი.

ასეთი ადამიანები, წარმოების ნამდვილი ნოვატორები, რესპუბლიკაში ათასობით გვყავს. ისინი შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ კოლექტივებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს, მთელ რესპუბლიკას მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები.

საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების 146 კოლექტივი დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშებით. სამახსოვრო დროშები კოლექტივებს გადაეცათ სამუდამოდ, როგორც სიმბოლო მათი შრომითი მამაცობისა.

სამახსოვრო დროშები მიენიჭათ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს.

შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანიც. ხშირად ვალდებულებებს კისრულობენ ეკონომიურად დაუსაბუთებლად და რეზერვების გაუთვალისწინებლად, არ წარმოებს ᲧᲝᲠᲘᲗᲕᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ მუშაობა მათ შესასრულებლად. მთელ რიგ საწარმოებში სუსტია შეჯიბრების საკითხობა. არის შემთხვევები, როცა შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობას გამოდევნებულნი ᲘᲕᲘᲧᲣᲤᲔᲑᲘ მთავარს—შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვას.

შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ შემდგომი ზრდისათვის ბრძოლის გაძლიერება პროფკავშირულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენი რესპუბლიკის პირობებში შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ I პროცენტით ზრდა უდრის რამდენიმე მილიონი მანეთი ღირებულების პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე აღიზარდნენ შესანიშნავი ნოვატორები, რომლებიც შრომის მაღალ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ გვიჩვენებენ. მაგალითად, ენგურის ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡადგურის მშენებლობაზე გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც გ. ნადირაძე მეთაურობს, მიმდინარე წლის აგვისტოში დაამყარა სრულიად საკავშირო რეკორდი, მოკლე ვადაში გაიყვანა 108 მეტრი სიგრძის გვირაბი გეგმით გათვალისწინებული 55 მეტრის ნაცვლად. რუსთავის მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ და ზაქარია კვეკლაშვილმა საიუბილეო წლის გამოუშვეს ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი.

ასეთი ადამიანები, წარმოების ნამდვილი ნოვატორები, რესპუბლიკაში ათასობით გვყავს. ისინი შრომის ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ.

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ.

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑ

მარად სამახსოვრო დღეები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მხატვარი—დრამის მესიჯყვე

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადის დღეებია. სახელმწიფო სურათების გალერეასა და საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზებში მოწყობილია ვრცელი, მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო ექსპოზიციები.

სურათების გალერეაში წარმოდგენილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეტად საყურადღებო თეატრალური კულტურა, აქვეა მხატვრული რეკლამა, მხატვრული შუშა და გერმანიის ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრის, მხატვარი ქალის, პროფესორ ლეა გრუნდიგის პერსონალური გამოფენა.

სამხატვრო აკადემიის დარბაზებში კი გამოფენილია ლაიპციგის გრაფიკისა და წიგნის ხელოვნების უმაღლესი სკოლის ნამუშევრების — დაზგური გრაფიკა, პლაკატი და ნაბეჭდი წიგნი, თვითონ ამ სკოლის მიერვე გამოცემული. აქვეა გამოფენილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიგრაფიული წარმოების მიერ გამოცემული წიგნები, ჩვენი აკადემიისათვის საჩუქრად გადმოცემული.

საქართველოში მოწყობილ იმ გამოფენათა შორის, რომლებიც ჩვენში ამ მოლო დროს იმართება, ეს ექსპოზიციები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობას საშუალება აქვს გაეცნოს ისეთი საინტერესო მხატვარი ქალის შემოქმედებას, როგორიც არის ლეა გრუნდიგი. ლეა გრუნდიგი მხატვარი მებრძოლია, მისი შემოქმედება პოლიტიკურად მახვილი, დახვეწილი და აქტუალურია, აღვსილია მოქალაქეობრივი პათოსით. ლეა გრუნდიგი და მისი მეუღლე ჰანს გრუნდიგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. დღესდღეობით ლეა გრუნდიგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მხატვარია. მის შემოქმედებას და, მაშასადამე, ამ გამოფენასაც უწყვეტ ზოლად გასდევს ცხოვრების ღრმა ცოდნის კვალი, პოლიტიკურად მახვილი და აქტუალური ასახვა სინამდვილისა. მხატვარი ამ გამოფენაზე საერთოდ მრავალფეროვნად ჩანს. მეტყველი და პლასტიკური ნახატი, თემატური, ყანრული მრავალფეროვნება, ტექნიკის მრავალგვარობა და კომპოზიციური დახვეწილობა ლეა გრუნდიგს გვიჩვენებს თანადროულობის ერთ-ერთ მოწინავე მხატვრად.

სურათების გალერეის დარბაზში ყურადღებას იქცევენ თეატრალური აფიშა და თეატრალურ-დეკორაციული ესკიზები. აშკარად იგრძნობა მათ შემქმნელთა დახვეწილი გემოვნება, მხატვრული პროფესიული კულტურა და მაღალი დონე პლასტიკური წერისა.

გამოფენაზე არანაკლებ საინტერესოა შუშა. წარმოდგენილი ექსპოზიცია საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ და გავეცნოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის ისტორიასაც. განსაკუთრებით მაღალია ტექნიკური თუ მხატვრული დამუშავების დონე.

ჩვენში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეების ჩატარებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ურთიერთობა, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში. გერმანიაში ქართველ მხატვართაგან თავის დროზე სწავლობდა ცნობილი ქართველი მხატვარი გ. ი. გაბაშვილი. იგი იყო მოწაფე პროფესორ ვაგნერისა (პორტრეტი ამ პროფესორისა დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). გერმანიაში სწავლობდნენ აგრეთვე მხატვრები: დ. გურამიშვილი (1858-1926 წ.წ.), სანბოთა მხატვრების კავშირის ერთ-ერთი პირველი თავმჯდომარე ტ. მომცელიძე (1870-1904 წ.წ.), დ. შევარდნაძე, თბილისში მცხოვრები სომეხი მხატვარი ა. აკოფიანი. ეს მხატვრები მონაწილეობდნენ გერმანიაში სამხატვრო გამოფენებშიც. ეურნალ „მწყემსის“ მოწმობით ჩვენი საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შეიქმნა წრე, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველ მწერალთა საუკეთესო მოთხრობების დასურათებასა და ქართველ მწერალთა, მსახიობთა და სხვა მოღვაწეთა პორტრეტების გამოცემას, აგრეთვე მნიშვნელოვან ქართულ სიძველეთა გამოშვებას ღია ბარათების სახით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიაში სხვადასხვა დროს ნაჩვენები იყო ქართული მხატვრობა, კერძოდ ნ. ფიროსმანის ნამუშევრები.

ჩვენი აკადემიის დარბაზებში გახსნილია ლაიპციგის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა, დიპლომანტთა და სტუდენტთა ნამუშევრების ექსპოზიცია, რომელიც უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. აქ წარმოდგენილია ექსპონატები დაწყებული მხატვრულ ფოტოდან და დამთავრებული მხატვრული შრიფტით. და ეს მასალა აჩვენებს ინსტიტუტის მეტად საინტერესო და დიდ მუშაობას. აჩვენებს ძიებითა და გამარჯვებებით აღბეჭდილ გზას.

დაზგური და წიგნის გრაფიკა გამოფენაზე წარმოდგენილია ტექნოლოგიის მხრივ მეტად მრავალფეროვნად. აქ არის ლითოგრაფიული ფურცლები, ოფორტები, გრავიურა, აკვარელი და სხვ. ექსპოზიციაში ვხვდებთ ნამდვილად საინტერესო პორტრეტებს, პეიზაჟებს, ყანრულ სურათებს.

გამოფენაზე სტუდენტებსა და დიპლომანტებთან ერთად წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრებიც. მნიშვნელოვანი და საინტერესოა პროფესორების ბ. ხაიზიგის, ხ. ვაგნერის, ვ. მილერის, დოცენტების ხობლერ-კალერის, ფ. ფრეილიხის, გ. ტილემანის და სხვათა ნამუშევრები, გამოფენაზეა სადიპლომო შრომებიც. უდავოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ისიც, რომ ინსტიტუტს აქვს თავისი საკუთარი საგამომცემლო ბაზა და თავის პროექტებს ინსტიტუტშივე ახორციელებს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს აქ წარმოდგენილი შრიფტის ნიმუშები. აშკარად ჩანს არა მარტო შესრულების მაღალი დონე, არამედ საქმის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნაც. ამ მხრივ გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები დიდად დახვეწილი და სრულყოფილია.

შ. კვასხვაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: ლეა გრუნდიგის „ქართული ჩანახატები“.

გერმანელი სტუმრები სოხუმში

სოხუმი. („კომუნისტის“ სპ. კორ.). გუშინ საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქი-ბაღი სოხუმი მზიანი ამინდით შეხვდა სტუმრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომლებიც აქ ბათუმიდან ჩამოვიდნენ.

სტუმართა შორის არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ჰორსტ ბრაში**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი **ალფრედ კურელა**, ვიმარის უმაღლესი მუსიკალური სკოლის რექტორი კომპოზიტორი **იოჰან ჩილენზეკი**, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ჰაინც ფრანკენეი** და სხვანი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქ სოხუმის ღირსშესანიშნავი ადგილები.

საღამოს სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიის თეატრის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები სოხუმში. შესავალი სიტყვა წარმოთქვა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ი. კვინინიამ**, სოხუმის მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმა აფხაზეთის კულტურის მინისტრი **ნ. კიუტი**.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის აფხაზეთის მშრომელებს მადლობა გადაუხადა **ჰორსტ ბრაშმა**.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

(დასასრული)

შამისაშვილს ნდადარ ლევანის-ძეს — კომპოზიტორს.

მარიანოვს გრიგოლ ბორისის-ძეს — ინოდრამატურგს.

მარტაშვილს შალვა ვასილის-ძეს — ინსტიტუტიდან „ქართული ფილმის“ რეჟისორს.

მურნალს ანატოლ ანდროს-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროორექტორს.

ორჯონიკიძეს გიგი შიოს-ძეს — მუსიკისმცოდნეს.

პოლოსოვს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

ეულენტს სულიკო ილიას-ძეს — კინოდრამატურგს.

რეულიშვილს ლევან დიმიტრის-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს.

სავიცკის ედუარდ ილიას-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს.

სალუქვაძეს შოთა ანანიას-ძეს — საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმებისა და დადგმების მთავარ რედაქტორს.

სურმავას კონსტანტინე ვლადიმერის-ძეს — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.

ტუღუშს იოსებ ნესტორის-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელს.

ურუშაძეს ნათელა ამბერკის ასულს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ლიტერატურულ ნაწილის გამგეს, თეატრმცოდნეს.

ფარცხალაძეს მერაბ ალექსის-ძეს — კომპოზიტორს.

შალუტაშვილს ნადია ნიკოლოზის ასულს — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტს, თეატრმცოდნეს.

შფოთავა-ბუხნიკაშვილს ელენე ივანეს ასულს — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ლექტორს, თეატრმცოდნეს.

შვანგერაძეს ნინო ბასონის ასულს — თეატრმცოდნეს.

შიოშვილს შალვა ალექსის-ძეს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორს.

შიოშვილს გიორგი გიორგის-ძეს — თბილისის ეროვნულ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივების მხატვრული წრეების ხელმძღვანელს.

ჩიჩუა ალექსი ჩანტას-ძეს — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს.

ცეცხლაძეს გიორგი მათეს-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს.

ცინცაძეს ვახტანგ გერონტის-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

წულუკიძეს ანტონ გრიგოლის-ძეს — მუსიკისმცოდნეს.

ჭიაურელს რამაზ მიხეილის-ძეს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს.

ჯანბერიძეს ნოდარ შალვას-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები:

აბესაძეს შალვა ვლადიმერის-ძეს — ოდგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის რესპუბლიკური სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

არჩაიას ალექსანდრე სტეფანეს-ძეს — ცხაკაიას რაიონის სახალხო თეატრის მსახიობს.

აფხაზავას ემა აქვსენტის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხოლისტს.

ახალაძეს სერგო ილიას-ძეს — მაიაკოვსკის სახალხო თეატრის რეჟისორს.

ბადურაშვილს შალვა ზაქარიას-ძეს — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მომღერალს.

ბაკაკურს ილია ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ყოფილ მსახიობს.

ბარამიძეს რევაზ პეტრეს-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ბარძიმაშვილს გიორგი გიორგის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ორერას“ ხელმძღვანელს.

ბებურიშვილს მალხაზ ალექსანდრის-ძეს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ბეგიჯანოვ-მარტიაშვილს ბეგლარ ნარტაის-ძეს — თელავის სახელმწიფო თეატრის მოცეკვავეს.

ბერაძეს გრიგოლ აკაკის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტს.

ბრეგვაძეს ნანი გიორგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ბუგანიშვილს შოთა ალექსანდრის-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ბურდულს ნიკოლოზ გიორგის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

ბუხაიძეს პარმენ ვასილის-ძეს — მაიაკოვსკის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

ბაკაბაძეს რევაზ სერგოს-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

კაკუშაძეს ნიკოლოზ ალმასხანის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

კახიანს იმედი ვლადიმერის-ძეს — — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

კეიდას ელენე ძიკის ასულს — ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

კვაჭანტირაძეს დიმიტრი არსენის-ძეს — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

კვერნაძეს ციალა გრიგოლის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ინსტრუმენტალისტ-სოლისტს.

კიკაჩიშვილს ილია ალექსანდრეს-ძეს — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტს.

კიკნაძეს ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ჯაპელის მსახიობს.

კილოსანიძეს ელენე ალექსანდრეს ასულს — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

კირილოვს გერმანე მიხეილის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

კოკილაშვილს შოთა ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ჯაპელის მსახიობს.

კოროშინაძეს სულიკო იაკობის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტს.

კურჩიანს სოფიო სამონის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის

დუგლაძეს ეკატერინა იოსების ასულს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ლუშბაძეს ნათელა ივანეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტს.

ეგანგელიდს სვეტლანა გერასიმეს ასულს — მოზარდ-მაყურებელთა თბილისის სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს.

ვაშაკიძეს ნელი (ეთერი) პარმენის ასულს — კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ვირსალაძეს ელისო კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ინსტრუმენტალისტ-სოლისტს.

ზალინაშვილს რობერტ პავლეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხოლისტს.

ზედაშიძეს იასონ ჯამბულის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოცეკვავეს.

ზეინკლიშვილს თენგიზ ვასილის-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

თვალთვაძეს ელისაბედ (ტუნა) კონსტანტინეს ასულს — ფოთის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

თოლორაიას კონსტანტინე ანდრიას-ძეს — რუსთავის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ისაევს გიორგი ივანეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობს.

იშნელ-ხუციშვილს მარიამ ალექსანდრეს ასულს — ქალთა გოჯალური ანსამბლის ბომღერალს.

კაზარიანს მერტიჩ (მიკუნა) ოგანესის-ძეს — ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

კაზინეცს ბორის მიხეილის-ძეს — ა. გრიბოედოვის სახლობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

კაკაბაძეს რევაზ სერგოს-ძეს— ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

კაკუშაძეს ნიკოლოზ ალმასხანის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

კახიანს ომარი ვლადიმერის-ძეს — — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

კეკელიას ელენე ძიკის ასულს — ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

კვეტენაძეს ავთანდილ გიორგის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის რეჟისორ-დამდგმელს.

გოგუას გივი კირილეს-ძეს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გონაშვილს ჰამლეტ დიმიტრის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მომღერალ-სოლისტს.

გოჯორაშვილს გრიგოლ არჩილის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეს.

გლუნჩაძეს ვახტანგ სამსონის-ძეს —ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

გრძელიშვილს გიორგი ალექსის-ძეს— საქართველოს სახელმწიფო ჯაპელის მსახიობს.

გურგენიძეს თამარ აბესალომის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

დენისაშვილს გიორგი ილიას-ძეს — გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

დოყვაძეს აკაკი ერასტის-ძეს — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ვოკალური კვარტეტის სოლისტს.

ერაძეს ეკატერინე ბესარიონის-ძეს — შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს.

ეზუგბაიას ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

ვარსიმაშვილს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

ვეფხვიას ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

ზაზიკაშვილს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

ზაქარეიშვილს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

ზაქარიაძეს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ბ. ხალატოვის სახელობის ბაკურიანის ბალეტის სკოლის მასწავლებელს.

**ზაქარიაშვილ

ჩვენს ყველა-ფერ-ზე

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ამოხსნილი საიდუმლო

ლატვიის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა მიხეილ ოქიგანოვმა მიჩვენა საიდუმლოებით მოცული ქალაქის სამი ფურცელი, რომლებზეც დროს თავისი კვალი დაეჩნია.

— ოცდაექვსი წელი ეს გაცრეცილი ქაღალდის ნახევები მიწაში იყო და ამდენივე ხანს ინახავდა საიდუმლოს, — ამიხსნა ოქიგანოვმა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ლიეპაიელმა მკვლევარებმა დურბეს მიდამოებში აღმოაჩინეს ჯარისკაცების საფლავები (ლიეპაია მსხვილი საბრძოლველო ქალაქია, რომელიც დასავლეთ ლატვიაში მდებარეობს, დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში ქალაქი, გმირულად იცავდა თავს ფაშისტების შემოტევისაგან).

ლიეპაიის საქალაქო გაერთიანებული კომისარიატის მუშაკებმა გამოარკვიეს, რომ საფლავებში დაკრძალული არიან ის ჯარისკაცები, რომლებიც 1941 წელს ქალაქის დამცველთა რიგებში იბრძოდნენ. შემდეგ, ცდილობდნენ რა ჰიტლერელთა რაკეტის გარღვევას, გმირული სიკვდილით დაეცნენ. გათხრების შემდეგ დადასტურდა, რომ აქ 67 კაცი დაიღუპა. ერთ საფლავში ჯარისკაცების ნეშტებთან ერთად სამი მეედალიონი იპოვნეს, რომლებშიც ქალაქის ფერადაკრული ნახევები აღმოჩნდა. ეტყვი არ იყო, ეს ანკეტები უნდა ყოფილიყო. წარწერები, რა თქმა უნდა, წაშალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიხეილ ოქიგანოვმა გამაცნო საიდუმლო, რომელიც ექსპერტებმა ამოხსნეს. მან მაჩვენა ქაღალდის სამი ფოტო, სადაც საკმაოდ ნათლად შეიძლებოდა რუსულად დაწერილი ტექსტის წაკითხვა.

აი ერთი ანკეტის შინაარსი.

„ვარდანიანცი... (იმ ადგილზე, სადაც მისი სახელი ეწერა, ქაღალდი გაცრეცილიყო — კ. პ.) ადამის-ძე, საქართველოს სსრ თბილისის გარეუბნის რაიონი, გლდანის სასოფლო საბჭო, სოფელი გლდანი.

ალბათ არ იციან მისმა მშობლებმა და მახლობლებმა, რომ ვარდანიანცი დაიღუპა 1941 წელს ლატვიის მიწის დაცვისათვის ბრძოლაში და სულ რამდენიმე ხნის წინ დაიკრძალა დურბეს ძმათა სასაფლაოზე. მის ხსოვნას ლიეპაიელები წმიდად ინახავენ.

კარლ პაკალნი,
ლატვიის რესპუბლიკური გაზეთის „ცინიას“ ლიტმუშაკი.

ნაირ-ნაირი

△ **სიღნაღი.** (საკ. კორ.). შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს სოფელ ხირხის მევენახეებმა. ახლად აგებულ შენობაში გადავიდა სოფლის ბიბლიოთეკა, აფთიაქი და საფოსტო განყოფილება, სადაც კავშირგაბმულობის სიღნაღის სახაზო-საექსპლოატაციო უბანმა აამუშავა 40-ნომრიანი ახალი კომუტატორი. კომუტატორი ავტომატური ხაზის ნომრებით დაკავშირებულია რაიონის ადმინისტრაციულ და სამეურნეო ცენტრებთან.

△ **ონი.** (საკ. კორ.). რაიონის კულტურულ ცხოვრებაში მკვიდრდება ცისფერი ეკრანი. ამ დღეებში აქ დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სატელევიზიო სადგური, რამაც შესაძლებლობა შეუქმნა ქ. ონის და რაჭის მოთიანი სოფლების მცხოვრებლებს უფასოდ ტელევიზიის გადაცემებს.

სატელევიზიო სადგურის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საწარმო-დაწესებულებათა მუშაკებმა და კოლმეურნეებმა.

△ **ტყიბული.** (საკ. კორ.). საიუბილეო წელს ნაყოფიერად იშრომეს ორპირის სასოფლო-სამეურნეო არტელის მშრომელებმა. მათ ბევრად მეტი ჩაი, სიმინდი და უურძენი მოიყვანეს, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. უხვი საკოლმეურნეო დოვლათისათვის მებრძოლი ადამიანები გარეშოსლინი არიან მზრუნველობითა და უურადღებით. კოლმეურნეობის გამგეობა განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს მათი დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკეთების საქმეს. მრავალმა კოლმეურნემ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იმკურნალა.

ორპირელმა ნოვატორმა მეჩაიემ ნ. ხვადაგიანმა სოუში დაისვენა, დ. ლომთაძემ — მახინჯაურში. კოლმეურნეებმა გ. გაბადაძემ და ვ. გიორგაძემ ქობულეთში იმკურნალეს, ხოლო ხ. ლოსაბერიძემ — ციხისძირში.

წალენჯიხის რაიონულ ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამეგრელოს ცნობილი გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას ბრინჯაოს ძეგლი. ძეგლის ავტორია მოქანდაკე რომან შეროზია.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ როგორც რაიონის მშრომელები, ისე სტუმრები მეზობელი რაიონებიდან და თბილისიდან.

მიტინგი გახსნა წალენჯიხის რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვლ. მიქავამ. შემდეგ ძეგლის საბურველის ლენტი გადაჭრა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს შ. ფიფიამ, სახალხო მხატვარმა, პროფესორმა ნ. კანდელაკმა, შ. ლუკავამ, სამხატვრო აკადემიის დოცენტმა შ. კვასხვაძემ, ა. შანავამ და ძეგლის ავტორმა რ. შეროზიამ.

ძეგლის გახსნას ეესწრებოდა უტუს თანამედროვე ქალი — 130 წლის საქებარ მარლია. სურათზე: უ. მიქავას ძეგლის გახსნა ქ. წალენჯიხაში.

ნოვატორი მკუურნალი

ნარკვევი

დარბაზში სტომატოლოგებს მოუყრიათ თავი. ერთ-ერთს ხელში ალიგნინის ქაღალდის ლილვაკები უპირავს და მოხსენებას აკეთებს.

— ალიგნინის ქაღალდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნერწყვს და საერთოდ ყოველგვარ სითხეს უკეთ შეიწოვს, ვიდრე ბამბა და ჰიგიენურადაც უფრო მისაღებია. თანაც ალიგნინის ქაღალდი გაცილებით უფრო იაფი ჯდება, — ამბობს მომხსენებელი.

ალიგნინის ქაღალდით ბამბის შეცვლის რაციონალიზატორულმა წინადადებამ სტომატოლოგთა ფართო მხარდაჭერა ჰპოვა და სტომატოლოგიაში მისი დანერგვის საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო გამომგონებლობის კომიტეტს გადაეცა, რომლის წევრები მედიცინის გამოჩენილი სპეციალისტები არიან. კომიტეტმა ამ მეტად სასარგებლო რაციონალიზატორულ წინადადებას რეკომენდაციაც მისცა და მის ავტორს რესპუბლიკის რაციონალიზატორის წოდებაც მიანიჭა. ხოლო მისი ავტორი სტომატოლოგი-პროთეზისტი სერგო ნაკაიძე გახლავთ.

ს. ნაკაიძეს სხვა მეტად მნიშვნელოვანი გამოგონებებიც აქვს, რომელიც მედიცინის დარგში და ჩვენს სინამდვილეში სრულიად ახალი და, შეიძლება ითქვას, პირველია.

ვესტუმრე სტომატოლოგ ს. ნაკაიძეს. დამხვდა ტანმორჩილი, სასიამოვნო გარეგნობის, მეტად თავაზიანი და უპრეტენზიო კაცი. მან სასიამოვნებით მიჩვენა და გამაცნო ის სიახლენი, მისთვის მრავალი უძილო ღამე, სიხარულიც, გულგატეხილობაც და დიდი იმედიც რომ მოუტანია.

...გურიის ერთ-ერთ კორტოხზე შეფენილ სოფელ ქვედა ბახვში მარად მწუანედ მობიბინე მცენარეებში მარჯვე და მცოდნე ხელებს ოდა-სახლი ჩაუდგამს. იმ ოდა-სახლში ხუთი და-ძმა იზრდებოდა. ამ ხუთ ონავარში თავისი სიცქვიტით ვერცხლისწყალივით მოძრავი პატარა სერგო გამოირჩეოდა.

დადგა სერგოს საოცნებო დღეც. დედამ და მამამ ჭიშკრამდე მიაცილეს და მშობლიური დარიგება გააყოლეს. სერგომ მშობლების სიტყვები სასოებით შეინახა გულში. ის ხომ ექიმობაზე ბაგშვობიდანვე ოცნებობდა. და აი, 1940 წელს ივლისის სიცხიან დღეს თბილისსაც მიატანა, ინსტიტუტის კარი გაბედულად შეაღო და სხვებთან ერთად სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე შესასვლელ გამოცდებში მიიღო მონაწილეობა. ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა და ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად დატოვეს.

ს. ნაკაიძემ აღნიშნულ კათედრაზე შვიდი წელი მთელი მონდომებით იმუშავა და 1951 წელს როგორც კარგი სტომატოლოგი გაგზავნილ იქნა აღმოსავლეთ გერმანიაში სახელოვანი საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის მომსახურების გასაწევად. იგი ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა ჯერ ქალაქ პოტსდამში, მერე კი ვიუსდორფში. იქ ბევრჯერ აღუნიშნავთ ს. ნაკაიძის მუშაობა მაღლობით და ჯილდოთი.

— ჩვენ ხშირად გვქონდა გერმანელ სპეციალისტებთან საქმიანი შეხვედრები, —ამბობს ს. ნაკაიძე, — ვიწყობდით კონსულტაციებს და ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას როგორც თერაპიულ, ისე ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში. ყველა საკითხი, რომელიც კი სტომატოლოგიის ეხება, ჩემს ღვიძლ და განუყოფელ საქმედ მიმაჩნია, რადგან პირის ღრუ ადამიანის ჯანმრთელობის გადამწყვეტ და მთავარ პირობას წარმოადგენს, მისი მოუვლელობით ორგანიზმში ათასგვარი მიკრობი იკრება.

ს. ნაკაიძე 1957 წელს მოღვაწეობისათვის კვლავ უბრუნდება თავის დედაქალაქ თბილისს და განყოფილების გამგედ იგზავნება იმ კლინიკაში, რომელსაც დღესაც განაგებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ედიბერიძე.

სტომატოლოგი-პროთეზისტი ს. ნაკაიძე მოუსვენარი კაცია, მუდამ ეძებს კვლევა-ძიებაშია და იმაზე ზრუნავს, რომ პირის ღრუს დასაშუშავებელი მასალა თუ აპარატუ-

რა როგორ გახადოს სრულყოფილი და ეკონომიური.

მას დიდი ხანია ერთი მეტად საჭირბოროტო საკითხი აწუხებს: მედიცინის ყველა დარგში, სტომატოლოგიაში თუ თერაპიაში, გინეკოლოგიაში თუ ინფექციურ დაავადებათა მკურნალობაში არ არსებობს ესთეტიკურად დაჰიგიენურად მოწყობილი საირიგაციო აპარატი და დღემდე ხმარებაშია ესმარხის მოძველებული ტოლჩა თავისი ულაზათო ბუნკოთ. ისევ იწყებს სერგო „ჩხირკედელაობას“.

...ერთხელ, შუაღამე უკვე გადასული იქნებოდა, სერგო ჩვეულებრივი ნებისყოფით ჩაჰკიდებოდა თავის საირიგაციო აპარატს, ამ დროს სახანძრო მანქანის სირენის ბზუილი გაისმა. საგანგაშო ხმაურმა თანდათან იმატა. სერგომ სასწრაფოდ ჩაიცვა და ქუჩაში გავდა. ხანძარი იქვე ახლო, მეზობელ ქუჩაზე მძვინვარებდა. მიუახლოვდა ხანძრის ობიექტს და დაძაბული უთვალთვალებდა მეხანძრეებს, რომლებიც მძლავრი წყლის ნაკადს მიწოდებით ებრძოდნენ სტიქიად ქცეულ ხანძარს. მართალია, სერგოს გონება იმ უბედურებას მოეცვა, მაგრამ როდესაც ყველაფერი დაშოშმინდა, მეხანძრეს მიუახლოვდა და თავაზიანად ჰკითხა:

— თუ ძმა ხარ, მოკლედ ახლესენი აი ამ რეზერვუარის მოწყობილობა.

მეხანძრემ, თუმცა დაღლილი იყო, დაუზარებლად აუხსნა ყველაფერი.

— მგონი აღმოვაჩინე! — ჩურჩულით წარმოთქვა ალტაცებულმა სერგომ და ბავშვური სილაღით გასწია შინისაკენ. მაშინვე მიუჯდა უკვე გამზადებულ აპარატს, ქაღალდზე გადატანილ სქემას და ინჟინერ-კონსტრუქტორივით შეასწორა ზოგიერთი რამ.

მალე ს. ნაკაიძემ შექმნა პირის ღრუს საირიგაციო აპარატი, რომლის უპირატესობა მრავალმხრივია ჰიგიენის, ესთეტიკურობის თუ დროის ეკონომიურად გამოყენების მხრივ. ექიმს ერთ საათში შეუძლია 30 ავადმყოფს გამოუცხოს პირის ღრუ.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო გამომგონებლობის კომიტეტმა ეწვია მოიწონა ს. ნაკაიძის მიერ პირის ღრუს საირიგაციო აპარატის რაციონალიზატორული გამოგონება, დადგინა მისი სტომატოლოგიის სამკურნალო დაწესებულებებში დანერგვა.

ასეთი აპარატი, როგორც ნიმუში, უკვე დადგმულია და მოქმედებს ქალაქ თბილისის მე-8 კლინიკური საავადმყოფოს ყბა-სახის კლინიკაში. ახლახან კი ს. ნაკაიძემ უკვე მიიღო სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო ტექნიკის მთავარი სამმართველოს მომართვა იმის შესახებ, რომ მის მიერ გამოგონებული პირის ღრუს საირიგაციო აპარატი მოწონებულია, დასამზადებლად ვოლგოგრადელ. სპეციალისტებს გადეცით და უკვე სერიული დამზადებაც მიმდინარეობს.

— კარგი, მუყაითი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი სტომატოლოგი-პროთეზისტია. სერგო ნაკაიძე, — ამბობს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სტომატოლოგი, ყბა-სახის პლასტიკური ოპერაციის უბადლო სპეციალისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ედიბერიძე.

ყველაზე მეტად კი ს. ნაკაიძეს ავტომატური ელექტრო პოლიმერიზატორის შექმნა აწუხებდა, მაგრამ დარიჯების ტექნოლოგიურად დასამუშავებელი ავტომატური აპარატი არ არსებობდა, დარიჯების დამუშავების პროცესი კი მეტად მომქანცველი. და სრიელეებით სავსე ხდება, დარიჯების ხარისხიც დაბალია. ს. ნაკაიძის მოუსვენრობამ აქაც გაიმარჯვა. მიმდინარე წლის აპრილში ქალაქ მოსკოვში გამართულ სიმპოზიუმზე, რომელიც სტომატოლოგიაში პლასტიკური მასების გამოყენების საკითხს მიეძღვნა, ს. ნაკაიძემ ამ საკითხზე სანტერესო მოხსენება წაიკითხა. დამსწრე სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ქალაქ მოსკოვის სტომატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრალურმა ინსტიტუტმა ამ აპარატის გამოცდა და მისი სერიულად გამოშვება მიზანშეწონილად ჩათვალა.

ს. ნაკაიძეს წმინდა ორთოპედიული საქმიანობა აინტერესებს და მრავალი სიახლის სურვილები ამოქმედებს. იგი ახლაც მუშაობს ორ საინტერესო საკითხზე. ამავალ როგორც საუკეთესო სტომატოლოგი-პროთეზისტი საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკაში სპეციალისტად განაგებს.

განა მისი ინტენსიური მუშაობის სტიმული მისივე დაუშრეტელი ოპტიმიზმი არ არის? ამიტომ გვჯერა, რომ ს. ნაკაიძეს მომავალშიც ბევრჯერ შეხვდება უძილო ღამეების გათენება. მაგრამ ისიც გვჯერა, რომ მისი იმედით გამთბარ გულს მტრედისფერი აისი ბევრჯერ შეეგებება და სახალხოდ ბევრჯერ მოუტანს.

თამარ ღვინიაშვილი.

სურათზე: ს. ნაკაიძე.

ბევრი-ბევრი

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ბევრ ადგილას — ბევრ ადამიანს — ბევრ ამბავი.